
CAPAROL
EFFEKT MOROCCO
OPTISILAN TIEFGRUND
PUTZGRUND 610
CAPATECT ARMARENO 600
HISTOLITH® ANTIK-LASUR


ფორუმი BY ახალი ნათება
ავეჯი განათება აქსესუარები
FORUM BY NEW LIGHT
FURNITURE LIGHTING ACCESSORIES
ავეჯი & განათება
FURNITURE & LIGHTING
furninova
Scandinavian Living
თბილისი
აღმაშენებლის ხეივანი N199
თვალჭრელიძის N2 (ისთ ფოინთი)
ბათუმი
ჟ. შარტავას ქ. N7
შ. ხიმშიაშვილის ქ. N1
032 2 20 24 24
www.newlight.ge

# AAG

Association of Architects of Georgia
საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია

www.archias.ge

# STYLE

Architecture, Interior, Design

გამომცემელი – საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია
და დიმიტრი მოსულიშვილი

მთავარი რედაქტორი – ნინო ლაღიძე
ინფორმაცია – ნინო ლაღიძე, დიმიტრი გელოვანი.
კომპიუტერული დიზაინი - ირმა ჯიშკარიანი

**PUBLISHER - ASSOCIATION OF ARCHITECTS OF GEORGIA** and Dimitri Mosulishvili

**CHIEF EDITOR -** Nino Laghidze
**INFORMATION -** Nino Laghidze, Dimitri Gelovani
**COMPUTER GRAPHIC -** Irma Jishkariani

0171 თბილისი, ბერბუკის ქ. N3
მობ: **+995 593 42 74 73**

**3 Berbuki str., 0171, Tbilisi, Georgia**
**Mob: +995 593 42 74 73**

**http://www.archias.ge**
**http:// www.archiaward.com**
**E-mail: style.magazine2022@gmail.com**

სარეკლამო ტექსტის შინაარსზე
რედაქცია პასუხს არ აგებს

## არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია და ჟურნალი "სტილი" აგრძელებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს მიერ რეალიზებული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ჟურნალი "სტილის" მომდევნო ნომრებში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

ჟურნალის რედაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ობიექტი წარმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მაღალმხატვრული ხარისხით - ავტორმა უზრუნველ-ყოს ობიექტის პროფესიული ფოტოგადაღება.

დაზუსტდეს თანაავტორთა ვინაობა!






ORGANIZERS OF THE ARCHITECTURAL AWARD

AAG
Association of Architects of Georgia

STYLE

17

YEARS OF SUCCESSFUL WORK

CONTACT US

Salotti

Design Solution

ალმაშენებლის ხეივანი №30

599 68 90 70

# სინათლის არქიტექტურა იტალიური ელეგანტურობით

Catellani&Smith

Salotti
Design Solution





Catellani&Smith — იტალიური განათების სამყარო, სადაც დიზაინი იქცევა ხელოვნებად. 1989 წელს ენცო კატელანის მიერ დაარსებული ბრენდი განსხვავდება თავისი ექსპრესიული სტილითა და ხელით დამზადებული თითოეული დეტალით. ბრენდის მთავარი ფილოსოფია არის სინათლის ემოციური ძალის აღმოჩენა და მისი გარდაქმნა სივრცის იდენტობის ნაწილად.

ენცო კატელანი საკუთარ ქმნილებებს ხშირად „პოეტურ ობიექტებს" უწოდებს — სანათები, რომლებიც არა მხოლოდ ანათებენ, არამედ ქმნიან განსაკუთრებულ ატმოსფეროს.

Catellani&Smith

Salotti
Design Solution















Catellani&Smith-ის თითოეული ნამუშევარი დამზადებულია იტალიაში, ბერგამოს ატელიეში, სადაც ოსტატები ხელით ქმნიან სინათლის სკულპტურებს. სწორედ ამიტომ, არც ერთი სანათი არ არის იდენტური — ყველა ნამუშევარს აქვს საკუთარი „ხასიათი".

ეს ბრენდი არა მხოლოდ ტექნოლოგიური განათებაა, არამედ ხელოვნების ნიმუში, რომელიც არქიტექტურას და ინტერიერს უნიკალურ ემოციურ განზომილებას მატებს.

Catellani&Smith

Salotti

Catellani&Smith

Salotti





Catellani&Smith-ის კოლექციები გამოირჩევა უნიკალური ფორმებითა და ხელით დამუშავებული ზედაპირებით.კოლექციები აერთიანებს როგორც მინიმალიზმს, ასევე ავანგარდულ ესთეტიკას, რაც მათ არქიტექტორებისა და დიზაინერების საყვარელ ინსტრუმენტად აქცევს.

Catellani&Smith Salotti Design Solution Catellani&Smith Salotti Design Solution

# THE BEAUTY OF PURIFIED WATER
# GROHE RAINSHOWER AQUA PURE

Transform your bathroom into a sanctuary of regeneration with the new GROHE Rainshower Aqua Pure shower system.

The seamlessly integrated GROHE Aqua Pure filter within the thermostat purifies your hand shower water from chlorine and odors, ensuring it is exceptionally gentle on your skin and hair. Elevate your daily ritual and indulge in the ultimate sense of wellbeing.





GROHE SPA




## COLOUR COMBINATIONS of GROHE RAINSHOWER AQUA PURE
Could be in round and square design



| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CHROME \| WHITE | CHROME \| BLACK | PHANTOM BLACK | BRUSHED HARD GRAPHITE | BRUSHED COOL SUNRISE | COOL SUNRISE | BRUSHED WARM SUNSET | WARM SUNSET | SUPERSTEEL |
| 1016800000 | 101680KS00 | 101680KF00 | 101680AL00 | 101680GN00 | 101680GL00 | 101680DL00 | 101680DA00 | 101680DC00 |

# GROHE RAINSHOWER AQUA PURE EXPOSED SHOWER SYSTEM
## **PREMIUM, HIGH-QUALITY DESIGN FOR THE LUXURY SEGMENT**

The shower system that stands out.



Why this is true love from the first sight:

- HEALTH &WELLBEING NEEDS
  Chlorine filter for healthy skin & hair.
  Filter is integrated into hand shower.
- UNIQUE, PREMIUM DESIGN
  Visually contrasting with Round & Square design options.
- DURABLE & HIGH QUALITY
  Metal thermostat handle and glass tray (safety glass).
- ADJUSTABLE COMFORT
  Head shower 30° angle & hand shower height adjustable.

## **GROHE RAINSHOWER AQUA PURE**
## INCLUDES A GROHE AQUA PURE FILTER



SALUS PER AQUAM - SKIN & HAIRCARE

GROHE RAINSHOWER AQUA PURE filter REMOVES chlorine to protect your skin and hair and keeps it beautiful and healthy & removes water odor for a pleasantly smelling shower experience.

- Rainshower Aqua Pure Shower function can be activated via button
- Low water pressure drop while showering with purified water
- Filter not visible and easy to exchange of cartridge
- Filter not visible and easy to exchange of cartridge
- Digital light indicator

GROHE SPA















## GROHE DESIGN AWARDS 2025 | GROHE COLORS

This is a unique opportunity to gain recognition within the international community of architecture and design by integrating the products of the GROHE brand into your projects.
Your talents as a designer and architect have the power to inspire a world of color! We invite you to participate in our exciting competition, where the key element will be the use of the GROHE COLORS and Grohe SPA collections.

This competition opens doors to endless possibilities for creative ideas. You have the chance to transform spaces, breathe life into every interior detail, and create harmony with the extensive palette of GROHE COLORS and GROHE SPA. Your projects can become the embodiment of style, sophistication and functionality.

**GOALS of the design awards**

- **UNITE** architects and designers on an international professional level, showcasing their projects featuring GROHE products.

- **IDENTIFY** with the help of an international professional jury, the best projects, popularize the authors and their ideas, contribute to the recognition of participants, laureates, and partners.

- **CREATE** a unique creative platform for the exchange of ideas and inspiration among architects and designers across Georgia. This award aims to highlight local talent, promote professional dialogue, and celebrate the diversity and originality of Georgian design culture.

## NOMINATIONS







## REWARDS










**WINNERS WILL BE DETERMINED IN TWO CATEGORIES. THREE PRIZE PLACES ARE PROVIDED IN EACH NOMINATION**

**RULES:**

- ALL PROJECTS PARTICIPATING IN THE AWARD MUST CONTAIN THE USE OF GROHE PRODUCTS.

- The more GROHE COLORS and GROHE SPA products included in your design, the higher your chances of winning.

- THE SUBMISSION AND EVALUATION OF THE AWARD ENTRIES TAKE PLACE ONLINE via website https://design-grohe.ge/

- Projects implemented in Georgia are eligible for participation.

## STAGES OF THE 2025 AWARD:

**August 1, 2025, to April 30, 2026** — SUBMISSION OF PROJECTS, NOMINATIONS PROPOSALS

**May 1 to May 10, 2026** – EXPERT JURY VOTING, FORMATION OF THE SHORTLIST

For all details please visit: **www.design-Grohe.ge**

# AAG

**საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია შეიქმნა:**

- პროფესიონალური ურთიერთობებისთვის;
- ქალაქმშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინის სფეროში არსებული პრობლემების განსახილველად და გადასაჭრელად;
- ასოციაციის წევრთა ბიზნესის მხარდასაჭერად;
- არქიტექტორთა საერთაშორისო ფესტივალების, საერთაშორისო კონკურსების - წარმატებით ჩასატარებლად;
- „არქიტექტორთა კლუბის", ჟურნალი "სტილის" პოპულარიზაციისთვის.

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია - არქიტექტორების და დიზაინერების გაერთიანება - შესაძლებლობას მისცემს პროფესიონალებს განიხილონ არქიტექტურის და მშენებლობის სფეროში არსებული პრობლემები, სიახლეები, პროექტები, ნოვატორული წინადადებები, ჩაატარონ ახალი სამშენებლო ტექნოლოგიების, დიზაინერული თუ ფურნიტურის კომპანიების პრეზენტაციები.

**„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის" სტრატეგიები:**

- მაღალკვალიფიციური, დახვეწილი, ერთიანი, თვითრეგულირებადი, პროფესიონალური ორგანიზაციის ჩამოყალიბება არქიტექტურის და სამშენებლო ბაზარზე;
- არქიტექტურისა და მშენებლობის განვითარების ტენდენციების შესახებ ასოციაციის წევრების ინფორმირება;
- ასოციაციის წევრებს შორის ურთიერთობის მექანიზმების ფორმირება;
- ასოციაციის წევრების საქმიანობისთვის პროფესიონალური სტანდარტების შემუშავება;
- ასოციაციის წევრთა სერთიფიცირებისთვის ხელის შეწყობა;
- წვლილის შეტანა ასოციაციის წევრების ბიზნეს ზრდასა და კეთილდღეობაში;
- ასოციაციის წევრების ინტერესების და უფლებების დაცვა, რჩევის მიცემა, დატრეინინგება, დახმარება, მხარის დაჭერა;
- ასოციაციის წევრებისთვის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- ასოციაციის წევრების ინტეგრაცია არქიტექტურის და მშენებლობის პროფესიონალურ სფეროში;
- საერთო პრობლემების გადაწყვეტა; რეკომენდაციების და პროგრამების შემუშავება არქიტექტურისა და სამშენებლო ბაზრის განვითარებისთვის;
- ასოციაციის წევრებს შორის კონსულტაციების და ინფორმაციის გაცვლა მოდერნ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, არქიტექტურის და სამშენებლო ბაზარზე პოზიციების შესახებ;
- ასოციაციის წევრების ინტერესების დაცვა და წარმოდგენა საკანონმდებლო, აღმასრულებელ თუ მუნიციპალურ სტრუქტურებში;
- ქვეყნის არქიტექტურის და სამშენებლო საქმიანობის სრულყოფისთვის და ერთიანი მაღალესთეტიკური ქალაქგეგმარებითი კრიტერიუმების დამკვიდრებული, კეთილმოწყობილი ქალაქური გარემოს ჩამოყალიბებისთვის ხელის შეწყობა;
- საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ნაციონალური სტანდარტების შემუშავება;
- პროფესიონალთა პრესტიჟის გამტკიცება; ასოციაციის წევრთა გაზრდა.

**Association of Architects of Georgia**

In 2011 STYLE Magazine and Architectural Club Ltd established Association of Architects of Georgia (Noncommercial (non-governmental) Legal the person).

Association of Architects of Georgia - a union of architects and designers - provides the professionals with an opportunity to discuss ongoing architectural and construction issues and news, projects and innovations introduced by their colleagues and to arrange presentations of new construction technologies, services and products offered by design or furniture companies.

Association of Architects of Georgia was established with the following goals:

- to foster professional relationships;
- to enable discussion and solving of different issues related to urban development, architecture and design;
- to support professional activities of Association members;
- to promote STYLE Magazine and diversify the range of its publications;
- to ensure successful development of international competitions - such as Architectural Award - organized under the auspices of STYLE Magazine;
- to provide Association members with an informal but presentable social environment.

Every year, STYLE organizes an international exhibition Architectural Award, covering such nominations as single-family residence, apartment block / residential complex, public construction, residential interior, public interior, reconstruction project, etc. (detailed information about this competition can be found at http://www.archiaward.com)

In 2014, Association of Architects of Georgia, Architects' Club and STYLE Magazine jointly organized the first Georgia-based International Architecture Festival in conjunction with the already traditional international architectural competition Architectural Award 2014.

We hope you find the above noteworthy and look forward to your comments regarding cooperation opportunities.

Thank you very much in advance.

დაგვიკავშირდით:
ბერბუკის ქ.№3,№3,0171, თბილისი, მობ: +995 593 42 74 73.
ელ-ფოსტა: laghidze.n@gmail.com http://www.archias.ge http://www.archiaward.com

Contacts: 3 Berbuki street 0171, Tbilisi, Georgia Cell: +995 593 42 74 73
E-mail: laghidze.n@gmail.com http://www.archias.ge http://www.archiaward.com

კლიმაკომფორტი

climacomfort.co.uk
team@climacomfort.co.uk
+995 595 12 12 66
თბილისი, დემეტრე თავდადებულის 26

## ClimaComfort – ლიდერი
## №1 ეკოლოგიური ეკო-თერმული გათბობის სისტემები საქართველოში

ClimaComfort საქართველოს ბაზარზე წარმოადგენს ევროპული ბრენდების – Variotherm (ავსტრია), Soffio (პოლონეთი-გერმანია) და DiscreteHeat (დიდი ბრიტანეთი) – ოფიციალურ პარტნიორს. ეს არ არის მხოლოდ ინოვაციური პროდუქცია – ეს არის უნიკალური გადაწყვეტა და სრულყოფილი კომპლექტაცია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ენერგოეფექტურობას, ეკოლოგიურობასა და უმაღლეს კომფორტს და ქმნის ახალ სტანდარტს გათბობასა და გაგრილებაში. ჩვენი სისტემები არ არის უბრალოდ ტექნოლოგია – ისინი ახალი ცხოვრების სტილია, სადაც კომფორტი, სილამაზე და ეკონომიურობა ერთიანდება.

DiscreteHeat



VARIOTHERM



soffio
Wall heating panels
HEAT DIRECTLY FROM THE WALLS



# ჩვენი წარმატებები და პარტნიორები

„Climacomfort"-ის წარმატების მთავარი საფუძველი არის პარტნიორობა — თანამშრომლობა სამშენებლო და დეველოპერულ კომპანიებთან, რომლებიც ქმნიან ქალაქის ახალ იერსახეს. უკვე არაერთმა ცნობილმა ბრენდმა გამოგვიცხადა ნდობა და საკუთარ პროექტებში ჩვენს ტექნოლოგიებს მიანიჭა უპირატესობა.

ბლოქსი – ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და თანამედროვე საცხოვრებელი კომპლექსების ქსელი, რომელიც გამოირჩევა ხარისხით და ენერგოეფექტურობის მაღალი სტანდარტებით.

დომინო – პრემიუმ კლასის პროექტები, სადაც დიზაინი და ტექნოლოგია ერთიანდება სრულყოფილ ჰარმონიაში.

არქი – მრავალფეროვანი საცხოვრებელი და კომერციული შენობები, სადაც ჩვენი სისტემები უკვე ქმნის ყოველდღიურ კომფორტს ასეულობით ოჯახისთვის.

ეს პარტნიორობა არის ჩვენთვის არა მხოლოდ წარმატებული თანამშრომლობა, არამედ პასუხისმგებლობაც — მუდმივად ვიყოთ ტექნოლოგიის განვითარების წინა ხაზზე და მომხმარებელს შევთავაზოთ საუკეთესო გადაწყვეტილებები

climacomfort.co.uk
team@climacomfort.co.uk
+995 595 12 12 66
თბილისი, დემეტრე თავდადებულის 26

## THERMASKIRT – პლინტუსური გათბობა



Thermaskirt არის რევოლუციური სისტემა, რომელიც ერთდროულად ასრულებს ორი ელემენტის ფუნქციას: პლინტუსისა და გათბობის.




ტრადიციული რადიატორების ნაცვლად, ოთახის პერიმეტრზე განლაგებული პლინტუსი ოთახს თანაბრად ათბობს, ქმნის კომფორტულ ტემპერატურას და ამავდროულად არ იკავებს სივრცეს.

Thermaskirt-ის უპირატესობები:

- ინტერიერის თავისუფლება — აღარ არის საჭირო დიდი რადიატორების განთავსება.

- თანაბარი ტემპერატურა მთელ სივრცეში. - ენერგოეფექტურობა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ხარჯებს.

- მარტივი მონტაჟი, რომელიც შესაძლებელია როგორც ახალ მშენებლობებში, ისე რემონტის დროს.

Thermaskirt არის იდეალური არჩევანი მათთვის, ვისაც სურს თანამედროვე, მინიმალისტური და პრაქტიკული ინტერიერი



# Variotherm – კედლისა და ჭერის გათბობა/გაგრილება




ავსტრიული კომპანია Variotherm მსოფლიოში ცნობილია თავისი ჭკვიანური გადაწყვეტილებებით, რომლებიც გათბობასა და გაგრილებას კედლებისა და ჭერის საშუალებით ახორციელებს. ეს ტექნოლოგია სრულიად ახალ კომფორტს ქმნის — სივრცე
თავისუფლდება ნებისმიერი ხილული მოწყობილობისგან, ოთახში კი იქმნება ჰარმონიული ტემპერატურა.



რატომ Variotherm? - გათბობისას ოთახში ვგრძნობთ მზის მსგავს, რბილ სითბოს. - გაგრილებისას არ არსებობს კონდიციონერისთვის დამახასიათებელი ქარი და ხმაური. - სისტემა მუშაობს ბუნებრივად, ქმნის ჯანმრთელ
გარემოს და ამცირებს ენერგიის ხარჯვას. - იდეალურად ერგება როგორც საცხოვრებელ,
ისე კომერციულ და საზოგადოებრივ შენობებს. Variotherm-ის სისტემა არამხოლოდ
ტექნოლოგიური სიახლეა, არამედ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტიც

# Soffio – კედლის პანელები

soffio



Soffio არის დიზაინისა და ტექნოლოგიის ერთობლიობა. ეს კედლის პანელები არამხოლოდ ფუნქციური გათბობის სისტემებია, არამედ ინტერიერის გამორჩეული აქსესუარი. მათი ესთეტიკური ხაზი საშუალებას
იძლევა, პანელი გახდეს ოთახის დიზაინის ნაწილი და არა მხოლოდ ტექნიკური ელემენტი. Soffio-ს მახასიათებლები: - მაღალი ხარისხის მასალები და გამძლეობა. - უნიკალური დიზაინი, რომელიც თავსდება
როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე სივრცეში. - გათბობის ფუნქცია, რომელიც ერთდროულად ქმნის სითბოს და ვიზუალურ ელეგანტურობას. - ეკოლოგიურობა და ენერგოეფექტურობა. Soffio-ს კედლის პანელები ხაზს უსვამს იმას, რომ კომფორტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ უხილავი, არამედ თვალშისაცემად ლამაზი

„Climacomfort"-ის მისიაა საქართველოში დამკვიდრდეს ენერგოეფექტური, თანამედროვე და ესთეტიკური გათბობა-გაგრილების სისტემები. ჩვენი პარტნიორები და
მომხმარებლები უკვე დარწმუნდნენ, რომ ჭკვიანური გადაწყვეტილება ნიშნავს არა მხოლოდ
ტექნოლოგიას, არამედ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ჩვენი პროდუქცია —
Thermaskirt, Variotherm და Soffio — სწორედ ამის მაგალითია: ისინი ქმნიან ახალ
სტანდარტს, სადაც კომფორტი უხილავია, ეკონომია რეალური და დიზაინი სრულყოფილი

ClimaComfort

CLIMACOMFORT.CO.UK
TEAM@CLIMACOMFORT.CO.UK
+995 595 12 12 66
თბილისი, დემეტრე თავდადებულის 26

## სარჩევი — Content


| სარჩევი | | Content |
|---|---|---|
| საპორტო ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურა | 26 | |
| სასტუმრო ძველ თბილისში | 40 | Hotel in old Tbilisi |
| სასტუმრო ბაქოს ქუჩაზე | 48 | Hotel THe Tbilisi edition |
| | 54 | Viceroyal tower on THe Cilento coast 16th century |
| | 62 | Private House in Italy |
| | 72 | MRDV APARTMENT |


## სარჩევი — Content


| სარჩევი | | Content |
|---|---|---|
| წითელი კიბის სახლი | 80 | Red Stairs House |
| ლურჯი ელფერი სახლისთვის | 86 | Men's Blue |
| | 92 | Apartment in city Park residential |
| Complex<br>ლადო ალექსი-მესხიშვილის წიგნის პრეზენტაცია | 98 | Aram // Aum Architects |


STYLE
ARCHITECTURE INTERIOR DESIGN



# საპორტო ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურა

ქალაქი ფოთი უმდიდრესი ისტორიული წარსულის მქონე, ევროპულად დაგეგმარებული, უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მდებარეობის სანავსადგურო ქალაქია, რომელიც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, კოლხეთის დაბლობზე, მდინარე რიონის შესართავთან მდებარეობს.

ახლანდელი ფოთის ტერიტორიაზე მდებარეობდა ისტორიული ქალაქი, ანტიკური „ფაზისი“ რომელსაც უკავშირდება მსოფლიოში ცნობილი მითი არგონავტებზე. ისტორიული ფაზისი დაარსდა ძვ.წ. VII საუკუნეში, აქ ფუნქციონირებდა უმაღლესი რიტორიკული სკოლა ,,ფაზისის აკადემია“, ხოლო ქალაქი ,,ფოთი’’-ს სახელით პირველად VIII საუკუნის ისტორიულ წყაროებში გვხვდება. 1858 წელს ფოთი სანავსადგურო ქალაქად გამოცხადდა და ამ პერიოდიდან დაიწყო მისი აღმშენებლობა, ევროპულად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის თაოსნობითა და კონცეფციით.

ნიკო ნიკოლაძის დამსახურებით, საქართველო ფოთის გავლით, ეზიარა მოდერნული პერიოდის ევროპულ ქალაქგეგმარებას. ამ პერიოდში ფოთში გერმანული არქიტექტურული სტილი შეერწყა ადგილობრივ ტრადიციულ სტილს, რასაც მოჰყვა ტერიტორიის, ჭაობიანი ადგილიდან ნამდვილ ქალაქად გადაქცევა.

ფოთი საქართველოში ერთადერთი ქალაქია, რომელიც არქიტექტურულად ევროპულ ყაიდაზე (კერძოდ, პარიზის) ანალოგიურად გაშენდა, წინასწარ დამტკიცებული ქალაქ განვითარების გეგმის შესაბამისად. სწორედ ეს, უნიკალური ევროპული დაგეგმარება გამოარჩევს ფოთს საქართველოს სხვა ქალაქებისგან, რომელიც მდიდარია წყლის რესურსებით.

ფოთი ევროპული არქიტექტურული მემკვიდრეობითაც ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქალაქია საქართველოში. კულტურული მემკვიდრეობით საინტერესო საპორტო ქალაქი მოდერნის სტილის უნიკალური შენობა-ნაგებობებითაა გამორჩეული, რომლებიც აგებულია XIX-XX საუკუნების მიჯნაზე, გერმანელი არქიტექტორის ედმუნდ ფრიკის მიერ. კულტურული მემკვიდრეობის ნაგებობებიდან უძველესია ნიკოლაძის კოშკი, რომელიც თავდაპირველად აგებულია თურქთა ციხესიმაგრედ, დაახლოებით 1578 წელს, ხოლო 1896 წელს ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით მოხდა კოშკის იერსახის ევროპული სტილით რეკონსტრუქცია.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ფოთი უმნიშვნელოვანესი ქალაქია, რადგან ფოთის პორტი შავი ზღვის აუზში „ტრასეკას“ კორიდორში მდებარეობს და ,,აბრეშუმის გზისა“ და ევროპა-აზიის დამაკავშირებელი უმოკლესი სატრანზიტო დერეფნის მუდმივად განვითარებადი სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ცენტრია.

ქალაქში ძირითადი კულტურული ობიექტებია: კოლხური კულტურის მუზეუმი, სახელმწიფო პროფესიული თეატრი, შუქურა, სახელოვნებო სასწავლებლები, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები, კულტურისა და დასვენების პარკი და სხვ. რომლებთან მიმართებით საჭიროა უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდეს.

ქალაქის მმართველობიდან არის ხელშეწყობა კულტურულ ორგანიზაცია-კავშირების დაფუძნება-გაძლიერების, პროფესიული განვითარების, სექტორთაშორის კომუნიკაციის, საერთაშორისო ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის. დაგეგმილია სივრცეების მოდერნიზაცია, უფუნქციო შენობების განახლება, შემოქმედებითი ინდუსტრიების ვებპორტალების და კომერციული პლატფორმების შექმნა-მხარდაჭერა. 2020 წელს EU-პროექტით მოეწყო არტ-სივრცე და ღია კულტურულ-რეკრეაციული ზონა. მიმდინარეობს თეატრის რეაბილიტაცია, ფლორითა და ფაუნით უნიკალური რეკრეაციული ზონების განვითარება. რეაბილიტირდა ცენტრალური პარკი, მოდერნის სტილის კულტურული მემკვიდრეობის თვალსაჩინო ძეგლები (უნდა აღინიშნოს აუთენტურობის ნაკლებად შენარჩუნებით).

დაგეგმილია, ასევე მდინარე რიონის ქალაქში გამავალი არხი დანალექი შლამისა და ნატანისაგან გაიწმინდოს. გაიწმინდება და აღდგება ნაპირდამცავი ჯებირები. როგორც ირკვევა ქალაქ ფოთში გამავალი მდინარე რიონის არხის რეაბილიტაციის დეტალური საინჟინრო პროექტის შედგენაზე ამჟამად მუ-



*ნიკო ნიკოლაძის კოშკი*



*აღმაშენებლის გამზირი*



*რუსთაველის რკალი*



ფოთის შუქურა

შაობა მიმდინარეობს, რის შემდეგაც საქართველოს მელიორაცია სამუშაოების შესრულებაზე ტენდერს გამოაცხადებს. პროექტის ფარგლებში, ე.წ. მეშვიდე კილომეტრიდან ზღვამდე რიონის ფსკერის გაწმენდა მოხდება, ასევე ზღვის შესართავთან რიონის, ამჟამად მოსილული მარცხენა შტოს გაწმენდითი სამუშაოებიც განხორციელდება.

მიუხედავად აღწერილი აქტივობებისა, ფოთის კულტურის სფერო არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. რამდენიმე ეტაპად ჩატარებული კვლევის (როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევა) შედეგებით, გამოიკვეთა ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა ინფრასტრუქტურული პრობლემები: პოსტსაბჭოთა ინფრასტრუქტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია-რევიტალიზაცია, თეატრის, კინოს, აუდიო-ვიზუალური ხელოვნებისთვის კეთილმოწყობილი, ტექნიკურად აღჭურვილი, ადაპტირებული სივრცეების არქონა; ციფრული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სიმწირე, კულტურის სფეროს მენეჯმენტი; საერთაშორისო კომუნიკაციისთვის საჭირო უნარების დეფიციტი, საკანონმდებლო ხარვეზები კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა დაცვასთან მიმართებით. არადა, ფოთს აქვს დიდი პოტენციალი გახდეს ეკონომიურად, სტრატეგიულად ძლიერი საპორტო ქალაქი. ამას განაპირობებს, პირველ რიგში ქალაქის სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა. მისი საზღვაო ნავსადგური - სატვირთო ტერმინალებით, ლოჯისტიკის, ფაბრიკების, ქარხნების ამუშავებით.

ქალაქს აქვს უნიკალური დაგეგმარება და ბუნებრივი რესურსები: მალთაყვის ტყეპარკი, პალიასტომის ტბა, UNESCO-ს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობად აღიარებული კოლხეთის ეროვნული პარკის კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები; ოქროს ტბა, მარტოწყალას ტბა, მდინარეების რიონისა და კაპარჭინის სანაპიროები, მალთაყვის სამკურნალო, მაგნიტური ქვიშის სანაპირო; მემკვიდრეობის ინოვაციური გარდასახვის შესაძლებლობა - ანტიკური ფაზისი, მედეა და მითი არგონავტებზე. ლეგენდები პალიატომის ტბაზე, ნახუტურის ეკლესიაზე, ნაბადაზე და სხვა ტოპონიმებზე, ლეგენდადქცეული ფაქტები ფოთის სანაპირო-ქართული ფეხბურთის პირველი მოედანზე. ასევე, როგორც უკვე ავღნიშნეთ ისტორიული და თანამედროვე აბრეშუმის გზა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სპორტულ-გამაჯანსაღებელი და რეკრეაციული ობიექტები. ყურადსაღებია და განსავითარებელია ქალაქის ტრადიციები - წყალსათხილამურო სპორტის გამორჩეული ტრადიცია, ფოთის იახტკლუბის ტრადიცია. მეტად მნიშვნელოვანია, შესასწავლია და განსახორციელებელი ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეობის სრული რეაბილიტაცია.

დღევანდელი მდგომარეობით შეიძლება ფოთის სამი არეალის განხილვა:

- ცენტრალური არეალი (რუსთაველის რკალი და საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორია),
- მალთაყვის საკურორტო უბანი (და დევნილთა ახალი რაიონი),
- ნაბადას სამრეწველო არეალი.

ქალაქის თავი, ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ფოთს 1894-1914 წლებში მართავდა, აქიტექტურული მოდერნიზაციის მთავარ ძალას წარმოადგენდა. მან შეიმუშავა ურბანული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავდა ქალაქის ცენტრალური ქუჩების განაშენიანებას. ქალაქის ცენტრალური პარკისა და ახალი საკათედრო ტაძრის გარშემო თორმეტი ქუჩა განვითარდა. ნიკოლაძეს სურდა ქალაქის საკათედრო ტაძარი ქართულ არქიტექტურულ სტილში აეშენებინა, ცარისტულმა ხელისუფლებამ გეგმა დაიწუნა. მოგვიანებით, ნიკოლაძის ჩართულობით, არქიტექტორებმა, ზელენკომ და მერფილდმა შექმნეს ახალი პროექტი საკათედრო ტაძრისათვის, რომელიც იყო კონსტანტინოპოლის ახალი აია სოფიას საკათედრო ნაგებობის ასლი. ცარისტული ხელისუფლება დაეთანხმა ახალ გეგმას და 1906 წელს გაიცა მშენებლობის დაწყების ნებართვა, რომელიც 1907 წელს დასრულდა. 1921 წელს, დემოკრატიული რესპუბლიკა დაემხო ბოლშევიკების მიერ, საბჭოთა სეკულარიზმის გამო კი რელიგია საჯარო ცხოვრების საზღვრებს მიღმა აღმოჩნდა.

საბჭოთა სისტემა აკონტროლებდა საცხოვრებელ გარემოს, სადაც არქიტექტურა გამოყენებული იყო იდეოლოგიური შინაარსით. 1930-იან წლებში



ფოთის საკათედრო ტაძარი თავდაპირველი სახით



სასტუმრო ბრისტოლი. ედმუნდ ფრიკის არქიტექტურა



ხიდი მდინარე რიონზე



საკათედრო ტაძარი დაიკეტა და შენობა გადაიქცა თეატრად. საბჭოთა ჟურნალ-გაზეთებს, სოზოროდ წოდებული საკათედრო ტაძარი ქალაქის ცენტრში, მიაჩნდათ როგორც, წარმავალი სისხლიანი ცარიზმის სიმბოლო. წერდნენ, რომ კომუნისტებმა ქალაქის ცენტრალური შენობის გადაკეთებით, შეცვალეს მორალური ლანდშაფტი. თეატრი გაიხსნა 1936 წელს და მიეძღვნა ოქტომბრის რევლოუციის წლისთავს. ცარისტული პერიოდის რელიგიური საკათედრო ტაძარი წარმოაჩინეს, როგორც შემარცხვენელი ინსტიტუცია, რომელიც ქალაქში თეატრის ადგილს იკავებდა. სენტიმენტები, ფოთის საკათედრო ტაძართან დაკავშირებით, ადგილობრივ საზოგადოებაში, წარმოქმნიდა ეკლესიის ცენტრალურ არეალში ხილვადობის აუცილებლობას. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1991 წელს, დისკუსია ეკლესიის მიერ თეატრად ქცეული შენობის დაბრუნების შესახებ გახშირდა. ადგილობრივების მოსაზრება შენობასთან დაკავშირებით ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთნი თვლიდნენ, რომ კათედრალისთვის პირვანდელი ფუნქციის დაბრუნება აუცილებელი იყო, მეორენი კი თეატრის დარჩენას უჭერდნენ მხარს, იმ არგუმენტით, რომ ქალაქის სახელოვნებო- თეატრალური ტრადიცია, კულტურული ტრადიციების განმსაზღვრელი ნაგებობის დაკარგვით, საქალაქო ღირებულებას დაკარგავდა. საბოლოოდ, 2003 წელს, ფოთის საკრებულომ რესტავრირებული შენობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადასცა. 2013 წელს საზეიმოდ გახსნეს ქრისტეს აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძარი, რომელიც წარმოადგენდა საქართველოსა და ფოთის განახლების სიმბოლოს. ფოთის საკათედრო ტაძარი ესაა ნაგებობა, რომელიც ქალაქის მორალურ მდგომარეობას განსაზღვრავს.

საკათედრო ტაძრის გადაკეთებასთან ერთად, ქალაქის ცენტრალური ტერიტორიაც მოეწყო. ახალი თეატრი, კინო, სავაჭრო ცენტრი, პოლიციის ოფისი და იუსტიციის სახლი აშენდა. ახალი თეატრის შენობის მშენებლობა 2006 წელს დაიწყო, თუმცა, როდესაც შენობა ჩვენი მხედველობისთვის აღქმადი გახდა, გამოიკვეთა საამაყო შენობის დეფექტი - რომ ლობე და გალავანი საკათედრო ტაძრის გარშემო შენობისათვის შეუსაბამო დანამატია. თუ დავაკვირდებით, ქალაქში ყველაფერი შემოღობილია, მაგალითად პორტი გარშემორტყმულია უზარმაზარი კედლით, სხვა პრივატიზებული ადგილებიც შემოღობილია.

რაც შეეხება ნაბადის უბანს, რომელიც ქალაქის საინდუსტრიო არეალად არის მიჩნეული. ესაა უბანი, რომლის საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის გამოცდილება, კომუნისტური ხელისუფლების მოშლის შემდეგ, წარუმატბლობასთან, კონტეინერიზაციასთან, ჩამოშლასთან და ნაგრევებად ქცევასთან ასოცირდება. შესაბამისად, წარსულის საამაყო გამოცდილებასთან და თანამედროვე წარუმატებლობასთან გვაქვს საქმე. ნაბადის უბნის ინფრასტრუქტურა, ქაოსური მიმოსვლის, პოსტსამრეწველო ტრანსფორმაციისა და კონტეინერიზაციის არეალს წარმოადგენს. ამ არეალში ნეოლიბერალური წესრიგის წარუმატებლობა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონასთან და გემთმშენებლ ქარხანასთანაა დაკავშირებული. გემთმშენებელი ქარხნა ფოთში 1935 წელს გაიხსნა, რომლის მშნებელობაც ჯერ კიდევ ნიკო ნიკოლაძის დროს იყო ჩაფიქრებული.

1990-იან წლებში ქარხნის საამქროები დაანგრიეს, ამწეები ჯართად ჩააბარეს და ტექნიკური ბიბლოთეკა გაანადგურეს. წარსულს ჩაბარდა ფოთის გემთმშენებელი ქარხნის მიერ შექმნილი დიდი ზომის ალუმინის სათევზაო კატერები. ფოთის გემთმშენებელი ქარხანა 1998 წელს გასხვისდა. დღეისათვის გემთმშენებელი ქარხანის, ერთ-ერთი ცენტრალური შენობა დანგრეულია, პრივატიზებული და ჩამოშლილი ინფრასტრქუტურა სანგრევი ამწეებით მიწასთანაა გასწორებული. სანაცვლოდ იგეგმება კონტეინერების კიდევ დამატებითი საწყობის მოწყობა.

ნაბადის ერთ-ერთი სანაპირო არეალი, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას წარმოადგენს. 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში განიხილებოდა, მთლიანად ფოთის ტერიტორიის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გადაქცევა. თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის იდეა, პოლიტიზირებული იყო და დაუკავშირდა ინდივიდებსა და გავლენიან ბიზნეს აქტორებს და დაპირება, რომ ინდუსტრიული ზონა სასწაულს მოახდენდა ფოთის ეკონომიკისათვის, წარუმატებელი აღმოჩნდა. უზარმაზარ მასშტაბებზე გათვლილ ზონაში, ერთი ტერმინალი ფუნქციონირებს, საიდანაც მანქანები გამოჰყავთ. მოსახლეობის უმრავლესობა თვლის რომ ნაბადა ყველაზე განუვითარებელი უბანია ფოთში.

1874 წლიდან მოყოლებული დამოუკიდებელი საქართველოს საწყის პერიოდში, ფოთმა ძალიან დიდი განვითარება ჰპოვა და მიუხედავად დღევანდელი მდგომარეობისა, ამ წარსულიდან გამომდინარე, ფოთი რჩება ინდუსტრიულ ქალაქად, რომელიც გათვლილია წარმოებაზე და პორტის ტვირთბრუნვა და ლოჯისტიკა განსაზღვრავს მის ფუნქციურ მნიშვნელობას.



*საბავშვო ბიბლიოთეკა ედმუნდ ფრიკის არქიტექტურა*



*კოლხური ხელოვნების მუზეუმი*



*საცხოვრებელი სახლები გეგიძის ქუჩაზე ედმუნდ ფრიკის არქიტექტურა*



*პალიასტომის ტბა*

მალთაყვას ტერიტორია, ფოთის ახალ რაიონად მიიჩნევა. საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, მისი სივრცითი დაგეგმარება და განაშენიანება დაკავშირებული იყო ტერიტორიის საკურორტო არეალად გადაქცევასთან. მალთაყვაში ახალი საკურორტო ზონის აშენება, 1950-იანი წლების ბოლოსა და 1960 იან წლების დასაწყისში დაიწყო, რომელიც გულისხმობდა ზღვის მიმდებარედ, ფიჭვის ტყის განაშენიანებასაც. მალთაყვას წარმოაჩენდნენ, როგორც იდეალურ საკურორტო ადგილს ზღვისა და მზის აბაზანების მისაღებად. კურორტის განაშენიანებში ჩართული იყო ფოთისა და ლანჩხუთის რაიონის მაცხოვრებლები.

მალთაყვის საკურორტო ტერიტორია მოიცავდა შენობა-ნაგებობებს, სამიმოსვლო ინფრასტრუქტურას, საფეხმავლო და სატრანსპორტო გადაადგილებისათვის და ასევე, ხელოვნურად მოწყობილ ოქროს ტბას.

მალთაყვაში, სანაპიროსთან ახლოს, ერთად შეჯგუფული ახალი საცხოვრებელი კორპუსებია, რომლებიც შორიდან ყვითელ და წითელ ფერებში აღიქმება, შეღებილი კედლებისა და სახურავების ფერების გამო. დასახლებაში ორმოცამდე კორპუსი დგას, მანამდე დაჭაობებული ადგილი ყოფილა.

მალთაყვის ოქროს ტბა, რომელიც კერძო საკუთრებაა, ინფრასტრუქტურულად არ არის მოწყობილი. ტბა 2006-2007 წლებში გასხვისდა, მასთან ერთად მოხდა, მიმდებარე ტერიტორიის, სანატორიუმისა და ხიდის პრივატიზება. არეალი, კომპლექსურად წარმოქმნის ერთიან ტერიტორიას, ადგილს, რომელიც ინფრასტრუქტურულად ამორტიზებულია.

მალთაყვის გამოცდილება უკავშირდება საბჭოთა პერიოდის ინფრასტრუქტურულ განვითარებას და არეალის დასასვენებელ სივრცედ ფორმირებას, რომელსაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოსთვის ყველაზე ტრაგიკული სოციალური კატეგორიის, იძულებით გადაადგილებული პირების, დევნილების, ყოველდღიურობა დაუკავშირდა.

მალთაყვა საბჭოთა პერიოდში ისეთი საკურორტო ზონა იყო, რომ ბათუმს სჯობდა. ახლა, ტურისტული ზონა აღარ არსებობს, ყველაფერი კერძო მესაკუთრეების ხელში აღმოჩნდა, რომლებმაც ეს ადგილები შეისყიდეს, მაგრამ არაფერს აკეთებენ, არ ავითარებენ. აქ არაფერი ხდება, რაც ტურიზმის განვითარების გაურკვეველ პერსპექტივებს წარმოშობს. ამასთან ერთად, კონფლიქტმა უკრაინაში, დევნილთა დასახლების ყოველდღიურობაზე იქონია გავლენა. გაზრდილი მიგრანტების ფონზე, საქართველოს ტერიტორიასა და მალთაყვაში გამოჩნდნენ რუსეთიდან ჩამოსული მაცხოვრებლები, რომლებმაც დასახლებაში დევნილებისაგან შეიძინეს საცხოვრებელი. მეტიც, დასახლებაში ადგილობრივი მოსახლეობა ერევა დევნილებს, რადგან სხვა ქალაქებიდან ფოთში გადმოსახლებული დევნილების ნაწილი, ადაპტირებას ვერ ახერხებს. დევნილების ნაწილი, ეკონომიკური თვალსაზრისით, წინა განსახლების არეალთან იყვნენ მიმაგრებული, ამიტომ ისინი, ვინც ვერ ადაპტირდებიან ახალ გარემოსთან, წინანდელი განსახლების ადგილს უბრუნდებიან.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1991 წელს მალთაყვაში ოქროს ტბაზე, ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა წყალ სათხილამურო სპორტში, რაც იმ დროისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა ქალაქისთვის. ამის შემდეგ, კონფლიქტების, ქვეყნის გალატაკების, გაზრდილი პრივატიზებისა და საერთაშორისო კორპორაციების მიერ, ურბანული ეკონომიკური ინფრასტრუქტურის დაურეგულირებელი მართვა-განკარგვის ნებართვების გაცემის შედეგად, ეს არეალი ყოველდღიურ ნანგრევებად იქცა. ამასთან ერთად ადგილმა შეიძინა ომგამოვლილი დევნილების მიერ საკუთარი თავის პოვნის სიმბოლური სივრცის დატვირთვა.

თეთრად შეღებილი კედელი მიჯნავს პორტს ქალაქისაგან. პორტის გარეთ, საჯარო სივრცეში, ტრაილერებით შემორტყმული ნიკო ნიკოლაძის ქანდაკება დგას. პორტში მომხმარებელთა შესასვლელი საბაჟო სამხრეთითაა, აქვეა კიბე, რომელიც პორტის კედელს გადაივლის. ამ გზით შესაძლებელია პორტში მდებარე სალოცავამდე მისვლა. ასევე, აქვეა იახტ-კლუბი. პორტში სხვა



*მალთაყვის სანაპირო*



*მალთაყვის სანაპირო და ოქროს ხიდი*



*პალიასტომის ტბა*



ნაბადა, გეზი, საბაჟო



თავისუფალი ზონა

შესასვლელი ჩრდილოეთითაა, ხიდთან, რომელიც პორტის ტერიტორიას ნაბადის უბანთან აკავშირებს. ორივე გზა პორტის შიგნით, კედელს მიუყვება, შიდა ტერიტორია მოიცავს ცისტერნებსა და რეზერვუარებს, შესაძლებელია ამწეების მწკრივის დანახვაც სანაპირო ზოლისაკენ, რომელიც ცამდეა ატყორცნილი.

პორტის შესასვლელთან არის სამედიცინო დაწესებულება, კაფეები და რესტორნები. პორტთან 9 აპრილის ხეივანია, სადაც პორტის ჩრდილოეთით მდებარე შენობები კედელს ბოლომდე მიჰყვება. პორტის ხმაური, ტრანსპორტის მოძრაობა და ამწეების ჭრიალი, მტვერი მოსახლეობას მუდმივად აწუხებს. ისინი ხედავენ გამყოფ კედელს, მის უკან ამწეებს, სამრეწველო რესურსებს, იმპორტირებულ მანქანებს და პერსონალის მოძრაობას. ზღვა მოწყვეტილია მათი ყოველდღიური ცხოვრებისაგან. რეკრეაციული ზონა, რომელიც მიჰყვება 9 აპრილის ხეივანს, რომელიც პორტის მოპირდაპირე მხარეს მდებარე უბანია, მოუწესრიგებელია, არხი კი დაჭაობებული. ადგილობრივები უნდა გაუყვნენ გზას სამხრეთით, რათა მიაღწიონ ზღვის სანაპირო ზოლამდე, რომელიც





ფოთის პორტი

ცენტრალური არეალიდან 2-3 კილომეტრითაა დაშორებული.

ფოთი საქართველოს საზღვაო ნავსადგურია და მას ყურადღება უნდა მიექცეს, მაგრამ არც მთავრობას და არც ბიზნესს არ მიუქცევია ყურადღება ქალაქის განვითარებისთვის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. პორტი დანიური კომპანიის საკუთრებაა, რომლებსაც შეუძლიათ გააკეთონ ყველაფერი, რაც სურთ, როგორც მის შიგნით, ისე ქალაქში. ქალაქი პორტის დანამატი ინფრასტრუქტურაა, რომლის ამორტიზებულ გზებზეც პორტში შემავალი და გამავალი ტრაილერები მოძრაობს; პორტის უბანში გადაადგილება რთულია და სამეზობლო გადატვირთულია ტრაილერებით. შემოსავალს პორტის მფლობელები იღებენ, ქალაქს კი არაფერი რჩება.

საბჭოთა პერიოდში საზღვაო სადგური იყო სამოქალაქო ზონა, სადაც ხალხი მიდიოდა ფოთიდან. მას მორვაგზალი ერქვა, რაც რუსული ტერმინია და საზღვაო სადგურს ნიშნავს. ტერიტორიას დღეისათვის ვერავინ უახლოვდება. ის დახურულია და შორიდან მოჩანს. მისი მოედანი პორტში ახლად მიღებული სატვირთო კონტეინერების საწყობია. მორვაგზალი ქალაქის ღირსშესანიშნაობაა და მისი მოედანი თავშეყრის ადგილი იყო, თუმცა იგი სამარცხვინოდ გაასხვისეს, რის შედეგადაც, ქალაქმა დაკარგა სავიზიტო ბარათი. ყოველ საღამოს სტუმრები და მოსახლეობა ოჯახებთან და ბავშვებთან ერთად გამოდიოდნენ სასეირნოდ და ელოდნენ გემების შესვლას პორტში.

